ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N19

02.10.2018

12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი ნინო კვეტენაძე, საკრებულოს წევრები და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა-**გიორგი ჩაკვეტაძე**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის N36.19.696 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 სექტემბრის N18.747.1107 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0318271148-03, 28.09.2018) **(მომხსენებელი-ნინო კვეტენაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი);**

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლოტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების, კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ზარქუა.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსმა წარუდგინა კომისიას.

ნინო კვეტენაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ოქტომბრის განკარგულების შესაბამისად, 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონება, გადაეცა ა(ა)იპ ჭადრაკის ფედერაციას. მიმდინარე წელს ჭადრაკის ფედერაციამ ქალაქის მთავრობას ისევ მომართა განცხადებით და ითხოვა, უზუფრუქტის ვადის გაგრძელება იმ პირობით, რომ ფედერაცია განახორციელებდა 515000 (ხუთასთხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიციას, უზრუნველყოფდა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას და შენობის კეთილმოწყობას. შესაბამისად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტით დედაქალაქის მთავრობას ეძლევა თანხმობა მთავრობის განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, უსასყიდლო უზუფრუქტის მოქმედების პერიოდი განისაზღვროს 2027წლამდე, ამასთან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულმა პირმა - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ“ 2019 წელს უზრუნველყოს სარემონტო სამუშაოების ჩატარება არანაკლებ 515000 (ხუთასთხუთმეტი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელების გზით.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე- აღნიშნული გადაწყვეტილება გახლავთ ძალიან საინტერესო ინიციატივა, ჭადრაკის ფედერაცია ახორციელებს ძალიან კარგ და მნიშვნელოვან პროექტებს, თუნდაც წელს საქართველო მასპინძლობს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები და წარმატებები ჭადრაკში, როგორც ვაჟთა ასევე გოგონათა შორის ევროპის, მსოფლიოს და მაღალი რანგის საერთაშორისო ტურნირებზე. აღნიშნული ინვესტიცია დაეხმარება ქალაქს, რომ კეთილმოეწყოს არსებული შენობა და უმასპინძლოს სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს. ასეთი სივრცეები დედაქალაქში ბევრი არაა, და ძალიან მნიშვნელოვანია მისი სწორად ათვისება. კომისია მზად არის მხარი დაუჭიროს განკარგულებაში შესატან ცვლილებას.

სხდომაზე კომისიამ ასევე იმსჯელა ტექნიკურ შენიშვნაზე და მიიჩნია, რომ სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში ასახული იქნას 2017 წლის საკრებულოს მიერ მიღებული 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც ჭადრაკის ფედერაციას 2 წლის ვადით გადაეცა ქონება, შესაბამისად სათაურის ცვლილებიდან გამომდინარე პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის N36.19.696 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი (12-0318271148-03, 28.09.2018) საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ლევან ჯაფარიძე, დავით ჭელიძე, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა, ავთანდილ ცინცაძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0))

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისამ ერთხმად გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა N 37ა-ში, ვერის პარკში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.03.010.089) ა(ა)იპ - „საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისთვის“ (ს/კ 203845385) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 28 სექტემბრის N36.19.696 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 13 სექტემბრის N18.747.1107 განკარგულებით გათვალისწინებული საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0318271148-03, 28.09.2018) მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით განხილული იქნეს საკრებულოს უახლოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

გიორგი ჩაკვეტაძე